

აუდიტ-კომპანია



AUDIT-COMPANY

**დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე**

**შპს 'გარტლის აბროსისტემები'
(ს/ნ 208168640)**

AUDIT COMPANY LTD

19 D Gamrekeli Street

Tbilisi, Georgia

2018

შპს “კარტლის აგროსისტემები”
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ს ა რ ჩ ე გ ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	-----	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 31 დეკემბერი 2017		
მდგომარეობით	-----	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წელი	-----	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წელი	-----	8
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ 2017 წელი	-----	9
წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	---	10



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კარტლის აგროსისტემები“-ის (შემდგომში “კომპანია”) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2017 ფისკალური წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულის მოძრაობის ანგარიშგებას და ანგარიშგებას კაპიტალში ცვლილების შესახებ, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე კომპანიის ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი იმ შიდა კონტროლის მექანიზმის შექმნაზე რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობებს გამოწვეულს თაღლითობის და შეცდომების შედეგად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვევალება წარმოვადგინოთ საკუთარი მოსაზრება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით. აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, აუდიტი დაიგეგმოს და ჩატარდეს იმგვარად, რომ მივიღოთ გონივრული დასაბუთება, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურების განხორციელებას რათა მოპოვებულ იქნას აუდიტორული

მტკიცებულება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისა და მონაცემების შესახებ. აღნიშნული პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის მნიშვნელოვანი უზუსტობების არსებობის რისკების შეფასებაზე. აუდიტი ასევე მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის და საბუღალტრო შეფასებების მიზანშეწონილობის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება არის საკმარისი და გონივრული, რაც ქმნის საფუძველს ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად.

უარყოფითი დასკვნის საფუძველი

კომპანიას გააჩნია მოთხოვნები 708956 ლარის ოდენობით რომელთა ამოღება შესაძლებელი აღარ არის, თუმცა ეს მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია (არ არის ჩამოწერილი). ამას გარდა მიმდინარეობს სამართლებრივი დავები კლიენტებთან სხვა მოთხოვნების ამოსაღებად, თუმცა საექვო მოთხოვნების შეფასება და ანალიზი არ ხდება საექვო მოთხოვნების რეზერვის შესაქმნელად. კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას არ აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანიას სტანდარტებთან შეუსაბამოდ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა გადავადებული საგადასახადო აქტივი 134335 ლარის ღირებულებით. აუდიტის შედეგად კომპანიის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლინდა ხარვეზები. ყოველივე აღნიშნული ჩვენი აზრით მატერიალურ და ყოველისმომცველ გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგების უტყუარობაზე.

უარყოფითი დასკვნა

ჩვენი აზრით, უარყოფითი დასკვნის საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილი არ არის სამართლიანად და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად არ ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო წლისათვის რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

შპს “აუდიტ კომპანი”

დირექტორი, გარიგების პარტნიორი,

გ. გაგნიძე

თბილისი საქართველო

28 სექტემბერი, 2018

მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას
იმ საანგარიშო წლისათვის რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე
და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების
სტანდარტების შესაბამისად.

შპს “აუდიტ კომპანი”

დირექტორი, გარიგების პარტნიორი,

გ. გაგნიძე

თბილისი საქართველო

28 სექტემბერი, 2018



შპს კარტლის აგროსისტემები

(ს/ნ 208168640)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის დასრულებული პერიოდისთვის

	31.12.17	31.12.16
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფუ ლო და ფუ ლის ეკვივალენტები	65 378	208 203
საფაქრო მოთხოვნები	3 884 510	4 070 228
სხვა მოთხოვნები	12 020	12 020
გადახდილი ავანსები	5 608	90 843
წინასწარ გადახდილი გადასახადები	35 989	-
სასაქონლო მარაგები	6 994 903	5 292 709
წინასწარ გაწეული ხარჯები	23 750	23 750
სულ მიმდინარე აქტივები	11 022 157	9 697 752
ძირითადი საშუალებები	724 808	553 488
არამატერიალური აქტივები	135 463	48 683
გადაუდებელი საგადასახადო აქტივები	134 335	134 335
სულ გრძელვადიანი აქტივები	994 606	736 506
სულ აქტივები	12 016 763	10 434 259
საფაქრო ვალდებულებები	(3 778 837)	(2 351 156)
მიღებული ავანსები	(644 754)	(164 765)
გადასახდელი ხელფასები	(100)	-
ვალდებულებები სანარმოს პერსონალის წინაშე	(6 394)	(296)
მოკლევადიანი სესხები	(5 740 772)	(6 270 090)
საგადასახადო ვალდებულებები	-	(41 395)
სულ მიმდინარე ვალდებულებები	(10 170 857)	(8 827 702)
სულ ვალდებულებები	(10 170 857)	(8 827 702)
საწესდებო კაპიტალი	(2 000)	(2 000)
გაუნაწილებელი მოგება	(1 706 376)	-
გადაფასების რეზერვი	(50 358)	(50 358)
სხვა რეზერვი და დაფინანსება	(87 173)	(1 554 199)
სულ კაპიტალი	(1 845 906)	(1 606 557)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	(12 016 763)	(10 434 259)

შპს კარტლის აგროსისტემები

(ს/ნ 208168640)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის საანგარიშო პერიოდისთვის

	2017	2016
ამონაგები	15 922 093	13 234 223
რეალიზებული საფონდის თვითღირებულება	(12 086 243)	(9 992 720)
რეალიზებული და სხვა კომერციული ხარჯები	(69 834)	(28 953)
ადმინისტრაციული დანახარჯები	(1 734 105)	(1 313 939)
ფინანსური შემოსავალი	252	11 260
სხვა შემოსავალი	424 554	216 172
ფინანსური ხარჯი	(271 519)	(285 750)
კურსთაშორის სხვაობა	(307 673)	(653 960)
სხვა ხარჯი	(170 880)	(330 294)
მოგების გადასახადის ხარჯი	(270)	(179 010)
წმინდა მოგება	1 706 376 	677 028

შპს კარტლის აგროსისტემები

(ს/ნ 208168640)

ფულის ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის საანგარიშო პერიოდისთვის

	2017	2016
ფუ ლი და ფუ ლის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	208 203	187 874
ფუ ლის ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1 706 376	677 028
საგაწრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ცვლილება	209 097	1 289 759
ცვლილება სასაქონლო მარაგებში	(1 702 194)	(246 581)
ცვლილება საგაწრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	1 975 622	(3 130 393)
ცვლილება სახელფასო ვალდებულებებში	100	-
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(77 383)	124 394
ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში	-	(23 750)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	103 779
სულ ფუ ლის ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 111 618	(1 205 764)
ფუ ლის ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილება ძირითად საშუალებებში	(171 319)	(108 149)
ცვლილება არამატერიალურ რაქტივებში	(86 780)	-
სულ ფუ ლის ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(258 099)	(108 149)
ფუ ლის ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილება მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებში	(529 318)	3 790 051
ცვლილება საპროცენტო ვალდებულებებში	-	(9 322)
სხვა ცვლილება კაპიტალში (გარდა წმინდა მოგებისა)	(1 467 026)	(2 446 487)
სულ ფუ ლის ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1 996 344)	1 334 242
ფუ ლი და ფუ ლის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	65 378	208 203
ფუ ლის და ფუ ლის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(142 825)	20 329

შპს კარტლის აგროსისტემები

(ს/ნ 208168640)

ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ

2017 წლის საანგარიშო პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი და დაფინანსება	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2015	2 000	-	50 358	3 323 658	3 376 015
კაპიტალის გაზრდა	-	677 028	-	677 028	1 354 057
კაპიტალის შემცირება	-	677 028	-	2 446 487	3 123 515
ბალანსი 31 დეკემბერი 2016	2 000	-	50 358	1 554 199	1 606 557
კაპიტალის გაზრდა	-	1 706 376	-	-	1 706 376
კაპიტალის შემცირება	-	-	-	1 467 026	1 467 026
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	2 000	1 706 376	50 358	87 173	1 845 906

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „კარტლის აგროსისტემები“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 1997 წლის 21 მარტს, მისი იურიდიული მისამართია კოსტავას ქ. #75გ, თბილისი, საქართველო. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 208168640.

კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „კარტლის მენეჯმენტი“ (ს/ნ 205100326); ღირეფტორებია რობერტ რეგია და ზურაბ სულაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის იმპორტი და რეალიზაცია.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2,5922 ლარს, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბერს 2,6468 ლარს.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს რომელთა გადახდის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში.

2.5 სასაქონლო მარაგები,

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მონმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით შემდეგი განაკვეთებით: შენობებისთვის 5% წელი, დანარჩენი ძირითადი საშუალებებისათვის 8%, 15% და 20%.

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია ერიცხება შემცირებული ნაშთის მეთოდით 15 % განაკვეთით.

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.9 სესხები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში. სასესხო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება, თუ კომპანიას აქვს უპირობო ვალდებულება გადაიხადოს სესხი საანგარიშო პერიოდიდან არაუგვიანეს 12 თვისა.

2.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

მომსახურების რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურება გაიწევა კომპანიის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი/შემოსავალი მოიცავს მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებას და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას/აქტივს. მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება მიღებული მოგება დაბეგვრამდე შემცირებული წინა წლების დაგროვილი ზარალით და გამრავლებული მოგების გადასახადის განაკვეთზე.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურების მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელო დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელო თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

2.15 მსს ფაას პირველადი გამოყენება

კომპანიის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფაას). შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. კომპანია აღნიშნულ თარიღამდე არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას.

2.16 ურთიერთდამოკიდებული პირები

კომპანიას გააჩნია შემდეგი ურთიერთდამოკიდებული პირები, რომელთანაც განხორციელებულ ტრანზაქციებს იხილავთ ქვემოთ:

დასახელება	ს/ნ	შენიშვნა
შპს კარტლს მენჯე მენტი	205100326	პარტნიორი
შპს კარტლს აგროსისტემები	208168640	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს კარტლს პროდაქშენი	404883578	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს აგროალანსი ვარდისუ ბანი	233147680	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს აგროალანსი	205160993	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს აგროალანსი ნახიდუ რი	225398307	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს აგროალანსი წნორი	240420549	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს გეოლონკსი	202214683	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს აგროლუ	205192548	ჰყავთ საერთო პარტნიორი
შპს კარტლს აგროტექსი	404917462	ჰყავთ საერთო პარტნიორი
ფ.პ. რობერტ რევიკა	1029005281	დირექტორი
ფ.პ. ზ. უ. რაბსუ ლაძე	1010010005	დირექტორი

კომპანიის მიერ დამოკიდებულ პირებთან 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანზაქციები და საბოლოო ნაშთები:

მიწოდება

კომპანია	მიწოდება დღგ-ს გარეშე
შპს კარტლის პროდაქშენი	55 919,63
შპს კარტლის მენეჯ მენტი	4 591,41

შესყიდვა

კომპანია	მიწოდება დღგ-ს გარეშე
შპს კარტლის მენეჯ მენტი	1 627 557,21
შპს კარტლის პროდაქშენი	381,36
შპს აგროალი ანსი ნახიდუ რი	191,35

დებიტორები

საწყისი	საბოლოო
შპს აგროალი ანსი	30 195,29
შპს აგროალი	289 228,60
შპს აგროალი ანსი ნახიდუ რი	520 865,80
შპს კარტლის პროდაქშენი	1 056 578,40
	12 545
	286028,6
	520 865,80
	1095567,6

კრედიტორები

საწყისი	საბოლოო
შპს კარტლის აგროტექსი	12 421,38
შპს აგროალი	2 876,00
შპს კარტლის მენეჯ მენტი	-
შპს აგროალი ანსი ნახიდუ რი	-
შპს კარტლის პროდაქშენი	-
	12 421,38
	2876
	353,69
	225,81
	550,00

დირექტორი:

რობერტ რევია

მთავარი ბუღალტერი:

მაია თარგამაძე

21.09.2018

კომპანიის მიერ დამოკიდებულ პირებთან 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანზაქციები და საბოლოო ნაშთები:

მიწოდება

კომპანია	მიწოდება დღგ-ს გარეშე
შპს კარტლის პროდუქტები	55 919,63
შპს კარტლის მენეჯ მენტი	4 591,41


შესყიდვა

კომპანია	მიწოდება დღგ-ს გარეშე
შპს კარტლის მენეჯ მენტი	1 627 557,21
შპს კარტლის პროდუქტები	381,36
შპს აგროალ ანსი ნახიდური	191,35

დებიტორები	საწყისი	საბოლოო
შპს აგროალ ანსი	30 195,29	12 545
შპს აგრო	289 228,60	286 028,6
შპს აგროალ ანსი ნახიდური	520 865,80	520 865,80
შპს კარტლის პროდუქტები	1 056 578,40	1 095 567,6

კრედიტორები	საწყისი	საბოლოო
შპს კარტლის აგროტექსი	12 421,38	12 421,38
შპს აგრო	2 876,00	2 876
შპს კარტლის მენეჯ მენტი	-	353,69
შპს აგროალ ანსი ნახიდური	-	225,81
შპს კარტლის პროდუქტები	-	550,00

დირექტორი:



რობერტ რევია



მთავარი ბუღალტერი:



მაია თარგამაძე

21.09.2018